

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოს-დაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

## სადაა ტრაგედია?

# საზიარო რესურსები, განვითარება, გარემოს დაცვა და ეკონომიკა

### შესავალი

ტერმინი “საზიარო რესურსები” (Commons) შუასაუკუნეების ინგლისიდანაა, სადაც სოფლის მაცხოვრებელნი ერთობლივად განკარგავდნენ საზიარო რესურსებს - სამოვრებს, წყლის ინფრასტრუქტურას და სხვ. დროთა განმავლობაში ტერმინის მნიშვნელობა გაფართოვდა და დღეს ის გამოიყენება როგორც ბუნებრივი, ასევე სოციალური და კულტურული რესურსების აღსანიშნავად. საზიარო რესურსების ტრადიციული გაგება მოიცავს ტყეებს, სამოვრებს, თევზის მარაგებს, მიწისქვეშა წყლების თუ მინერალურ რესურსებს, მაგრამ დღეს ის ვრცელდება ისეთ რესურსებზე, როგორცაა ცოდნა, ინფორმაციული წყაროები და ტექნოლოგიები, ურბანული გარემო, სამედიცინოს სერვისები, კულტურული მემკვიდრეობა. საზიარო რესურსები შეიძლება იყოს როგორც გლობალური - კლიმატი, ჰაერი, ოზონის შრე, ასევე ადგილობრივი - ტყე, წყალი, ჰაერი. მთავარი განმსაზღვრელი არის ამ რესურსების ერთობლივი მოხმარება და/ან მათზე ხელმისაწვდომობა. როგორც წესი, საზიარო რესურსები წარმოდგენს თემის არსებობის, უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის გარანტიას, თუმცა ხშირად არ ქმნის პრობლემას. საზიარო რესურსები არც კერძოა და არც საზოგადოებრივი; არ ეკუთვნის არც კერძო, არც სახელმწიფო კომპანიას, ამასთან ის შეიძლება არ იყოს ყველასთვის ღია. ადგილობრივი თემი თვითონ განსაზღვრავს როგორ, ვინ და რანაირად უნდა მართოს არსებული საზიარო რესურსები. მართვის რეჟიმი, უფრო ხშირად განისაზღვრება მათი სოციალურ-კულტურული ორგანიზაციით, ვიდრე ფიზიკური მდგომარეობით.

### „საზიარო რესურსების ტრაგედია“

მე-20-ე საუკუნეში საზიარო რესურსების ტრაგედიის (The Tragedy of the Commons) თეორიამ დიდი გავლენა იქონია გლობალური ეკონომიკის განვითარებაზე. თეორია პირველად 1968 წელს გააჟღერა კალიფორნიის უნივერსიტეტის ბიოლოგიის პროფესორმა გარეტ ჰარდინმა.

ჰარდინი განიხილავდა ინგლისში 19 საუკუნემდე არსებულ ტრადიციას, როდესაც სოფლის მოსახლეობა ერთობლივად იყენებდა საკუთარი პირუტყვისთვის საერთო საძოვარს, აგრეთვე სხვა ტიპის სათემო ინფრასტრუქტურას. თეორიის თანახმად, საძოვარი ღიაა ყველასთვის, და თუ რომელიმე მოსარგებლე გადაწყვეტს, რომ გაზარდოს იმ საქონლის რაოდენობა, რომელიც იკვებება ამ საძოვარზე, ამ გადაწყვეტილების შედეგად წარმოქმნილი უარყოფითი შედეგები (შემცირებული საკვების ოდენობა, ნიადაგის დეგრადაცია) აისახება ყველა მოსარგებლეზე, ხოლო სარგებელს მიიღებს მხოლოდ თვითონ. შესაბამისად, ჰარდინის დასკვნით, თუ ყველა „რაციონალური მწყემსი“ იმოქმედებს ამ პრინციპით, საზიარო რესურსი -საძოვარი- გახდება გამოუყენებელი გადამოვებისა და დეგრადაციის გამო. შესაბამისად, მივიღებთ დაუგეგმავ, მაგრამ გარდაუვალ ტრაგედიას, ვინაიდან მისი სიტყვებით „საზიარო რესურსებში თავისუფლება ანადგურებს ყველაფერს.“<sup>1</sup>

ჰარდინის არგუმენტით, იმისთვის რომ თავიდან ავიცილოთ გლობალური გარდაუვალი გარემოსდაცვითი კატასტროფა, აუცილებელია რომ ყველა საზიარო რესურსი გახდეს კერძო ან იმართებოდეს კერძო პირის მიერ. მისი სიტყვებით, „ჩვენ უნდა ვადიაროთ რომ ჩვენი კერძო საკუთრების სამართლებრივი სისტემა არასამართლიანია, მაგრამ დღეს არ არსებობს უკეთესი სისტემა. თუ დავფიქრდებით, მივხვდებით რომ საზიარო რესურსების ალტერნატივა უფრო დამაზიანებელია. არასამართლიანობა გვერჩინოს ტოტალურ განადგურებას“.

საზიარო რესურსების ტრაგედიით, დღესაც კი, ხშირად აიხსნება მთელი რიგი გარემოსდაცვითი პრობლემები - იქნება ეს ოკეანის დაბინძურება, გადაჭარბებული თევზჭერა თუ ტყის რესურსების არარაციონალური მოხმარება და ხშირ შემთხვევაში რეცეპტი რჩება უცვლელი - ბუნებრივი რესურსების, სოციალური თუ მუნიციპალური რესურსების პრივატიზაცია ან მათი მართვის გადაცემა კერძო პირებზე.

ჰარდინის მოსაზრებები არ ეფუძნებოდა მეცნიერულ კვლევას, თუმცა ეკონომისტთა დიდმა ნაწილმა სტატია გაიზიარა. ჩამოყალიბდა პოსტულატი, რომ ბუნებრივი რესურსების კოლექტიური მოხმარებისას, რესურსი აუცილებლად არარაციონალურად მოიხმარებოდა და განადგურდებოდა ხანგრძლივ ვადიანი პერსპექტივიდან. სინამდვილეში, ჰარდინს არ აღუწერია თუ როგორ იქცევა მესაქონლე პრე-კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მან აღწერა, კაპიტალისტების და კერძო კაპიტალის ქცევა კაპიტალისტურ ეკონომიკაში. ის რაც მისი განმარტებით, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს - გაზარდოს მოგება ყველა შესაძლო გზით, არაა დამახასიათებელი ადამიანების გაერთიანებებისა და თემებისთვის.

ჰარდინის შრომები, მიუხედავად იმისა რომ არამეცნიერული<sup>2</sup> იყო და გარკვეულწილად მალთუსის თეორიის გაგრძელებად წარმოგვიდგება, ატაცებული იქნა მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ეკონომისტების მიერ 20 საუკუნის 70 წლებიდან და ჩამოყალიბდა როგორც ბუნებრივი რესურსების ათვისების დომინანტური პარადიგმა. დღესაც თითქმის ნახევარი საუკუნის მერეც კი, ეს პარადიგმა ხშირად გამოიყენება მიწისა და ბუნებრივი რესურსების, ჯანდაცვის და სხვა სოციალური სერვისების პრივატიზაციისა და კერძო სექტორში გადასავლის მთავარ არგუმენტად და ამავდროულად კორპორაციების მიერ ჰაერისა და წყლის დაბინძურების შესაფუთად. თეორიამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ნეოლიბერალური პოლიტიკის გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით.

1 Freedom in a commons brings ruin to all.”

2 პუბლიკაციამ საკმაოდ დიდი კრიტიკა გამოიწვია მეცნიერულ წრეებში, სწორედ მისი დაუსაბუთებლობისა და გამო. იხ. Global Commons, Surabhi Ranganath The European Journal of International Law Vol. 27 no. 3, EJIL (2016), Vol. 27 No. 3, 693–717 doi:10.1093/ejil/chw037, © The Author, 2016. Published by Oxford University Press on behalf of EJIL Ltd.

## საზიარო რესურსების ტრაგედია საქართველოში

1993 წლებიდან საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის რეკომენდაციებზე დაყრდნობით ცდილობდა გაეტარებინა მთელი რიგი რეფორმები, მათ შორის საყოფაცხოვრებო სერვისების, ბუნებრივი რესურსების, ჯანდაცვის სექტორის პრივატიზაცია, და ასევე მიწის რეფორმა, რომლის მიზანი იყო მიწის ბაზრის ჩამოყალიბება და მიწების კონსოლიდაცია. 2005 წლიდან დაწყებული რეფორმების ახალი ტალღა უკვე ეროვნული ხელისუფლების თვითმემოქმედება იყო, რომელიც იმდენად შორს წავიდა, რომ თვით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მმართველობასაც აკვირებდა. ის შეზღუდული რეგულაციებიც კი, რაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში სამხრეთისა და ჩრდილოეთის სოციალური მოძრაობების გამარჯვების ხარჯზე იყო მოპოვებული, იმდროინდელი ისტებლიშმენტისთვის ზედმეტობას და თავის ტკივილს წარმოადგენდა.

ოთხმოცდაათიანი წლებიდან, პრივატიზაცია განსაზღვრული იყო როგორც არაეფექტურ მმართველობასა და კორუფციასთან ბრძოლის წინაპირობა, რომელსაც ამავდროულად უნდა შეეცხო სახელმწიფო ბიუჯეტი, შეექმნა სამუშაო ადგილები, შეეტანა წვლილი ქვეყნის ეკონომიკაში, ეფექტურად ემართა რესურსები და გაეუმჯობესებინა ადამიანების საცხოვრებელი გარემო. ამ მიზნისთვის, არ მიუღწევია არც რეფორმირების არც პირველ<sup>3</sup> და არც შემდგომ ეტაპებს.<sup>4</sup>

ქვეყანაში განხორციელებულმა პრივატიზაციის სხვადასხვა ეტაპებმა 1994 წლიდან, მხოლოდ გაზარდა ქვეყანაში ელიტური კორუფციის წილი, მაშინ როდესაც მთელ რიგ შემთხვევებში მნიშვნელოვნად უარყოფითი როლი ითამაშა მოსახლეობის კეთილდღეობასა და მათ საზიარო რესურსებზე. თუმცა, ჯორჯ სოროსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყოველთვისაა ვიღაც ვინც იხდის და საერთაშორისო ბიზნესი ძირითადად კორუფციის მთავარი წყაროა“.<sup>5</sup>

მიწის რეფორმირების არც ერთ ეტაპზე არ იყო გათვალისწინებული ე.წ. მიწის ტრადიციული საკუთრება, რომელსაც სოფლები ერთობლივად განკარგავდნენ. მართალია, განკარგვის რეჟიმები განსხვავებული იყო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, მაგრამ მოსახლეობა მას ტრადიციულად მოიხმარდა სხვადასხვა მიზნებისთვის. დაუსრულებელმა რეფორმებმა, რომლის დროსაც მაგ. სამოვრების განკარგვის უფლება ჯერ მიენიჭა ადგილობრივ თვითმმართველობებს, მერე ჩამოერთვათ, ხოლო შემდგომ მთავრობის მიერ ხშირად დაჩქარებული წესით სამოვრების გაყიდვამ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო სოფლის მაცხოვრებელი, რამაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობის შემოსავლებზე.

ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი არის „ჭიათურმანგანუმის“ პრივატიზაცია 2006 წელს, როდესაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ საწარმოს სამთო მინაკუთვნი 3500 ჰექტარიდან 16 500 ჰექტარამდე გაუზარდა. ამ ტერიტორიაში მოაქცია დასახლებული ტერიტორია და გასცა ქ. ჭიათურაში წიაღისეულის მოპოვების უფლება, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დაახლოებით 3000 ადამიანის ცხოვრების უფლება ამ ქალაქში. დღეს ჭიათურის მოსახლეობას გარემოსდაცვით პრობლემებთან და ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანთან ერთად, მათთვის მიყენებული და აუნაზღაურებელი მატერიალური ზიანი აწუხებს. ზარალი მიადგა როგორც მოსახლეობის კერძო საკუთრებას (საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათესს, პირუტყვს, ბაღებს) ასევე საზიარო რესურსებს – წყალი, ტყე, სამოვრები, ჰაერი, საჯარო სივრცეებს და ა.შ.

3 Decade of Independence – Effects of Economic Liberalization in Georgia", <https://greenalt.org/publications/decade-of-independence-effects-of-economic-liberalization-in-georgia/>

4 იხილეთ მწვანე ალტერნატივას სერია პრივატიზირება ქართულად. [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

5 "Fund management Guru reveals doubts" Financial Times, 8 December 1998



## საზიარო რესურსების მართვა

2019 წელს ქალმა ეკონომისტმა ელინორ ოსტრომმა, მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკაში ეკონომიკური მმართველობის და საზიარო რესურსების, კვლევებისთვის. ოსტრომის სავსე სამუშაოებზე დაფუძნებულმა კვლევებმა, მკაფიოდ აჩვენა, როგორ ეფექტურად მართავენ თემები საზიარო რესურსებს, როგორცაა სამოვრები, მეთევზეობა, ტყეები და ა.შ., ყოველგვარი ცენტრალური მმართველობისა და/თუ პრივატიზაციის გარეშე. კვლევებმა აჩვენა, რომ რესურსების მომხმარებლები ადგენენ წესებს და აღსრულების მექანიზმებს, რაც აძლევს მათ საშუალებას უზრუნველყონ როგორც ეკონომიკური ასევე ეკოლოგიური მდგრადობა. საზიარო რესურსის მოსარგებლეები, როდესაც ისინი სასიცოცხლოდ არიან დამოკიდებულნი საზიარო რესურსებზე დაინტერესებულნი არიან აგრეთვე მის მდგრადობაში. ამასთან, ცენტრალური ხელისუფლების მიერ შემოღებული რეგულაციები შეიძლება სრულად კონტრპროდუქტიული იყოს, ვინაიდან მას არა აქვს ადგილობრივი ცოდნა. უფრო მეტიც, ხელისუფლების მიერ შემოღებულმა შეზღუდვებმა შესაძლოა მოსარგებლეებს გაუქროს ინიციატივა რომ მართონ და დაიცვან ბუნებრივი რესურსები.<sup>6</sup>

ოსტრომმა და მისმა თანამოაზრეებმა, გვაჩვენეს, რომ მეოცე საუკუნის ბოლოსაც კი, საზიარო ბუნებრივი რესურსების მართვა ფართოდ გავრცელებული ფენომენია: იქნება ეს თევზჭერა ოკეანის კუნძულებზე, ტყეების მართვა სამხრეთ ამერიკაში თუ ირიგაცია ფილიპინებში. აღმოჩნდა, რომ დასავლეთშიც, სადაც „COMMONS“ კონოტაცია შუასაუკუნეების ასოციაციას წარმოშობდა, ჯერ კიდევ არსებობს უამრავი თემი, რომელიც თვითონ განაგებს თავის ტყეებს, სამოვრებს, მეთევზეობასა თუ წყლის რესურსებს. და საზიარო რესურსები, დღესაც უამრავი ადამიანისთვის წარმოადგენს არსებობის, უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის საწინდარს.

## ვინ მართავს საზიარო რესურსებს

ოსტრომი გვთავაზობს საზიარო რესურსების მართვის 8 ძირითად პრინციპს:

1. ჯგუფის საზღვრები მკვეთრად განსაზღვრულია;
2. საზიარო რესურსების გამოყენების წესები თანხვედრაშია ადგილობრივ საჭიროებებთან და პირობებთან;
3. ადამიანები რომლებიც ექცევიან დადგენილი წესების ზემოქმედების ქვეშ, აქვთ უფლება და საშუალება მონაწილეობა მიიღონ ამ წესების ცვლილებაში;
4. თემის წევრების უფლებები განსაზღვრონ თავისი საკუთარი წესებით აღიარებული გარე ხელისუფლების მხრიდან;
5. არსებობს მონიტორინგის სისტემა, რომელსაც თვითონ თემის წევრები უძღვებიან;
6. არსებობს სანქციების ჩამოყალიბებული სისტემა;
7. უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა კონფლიქტის გადაწყვეტის მექანიზმზე;
8. როდესაც საქმე ეხება გლობალურ საზიარო რესურსებს, წესები უნდა ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს მრავალშრიანი მმართველობის სისტემის ეგიდით.<sup>7</sup>

ამასთან, საზიარო რესურსები და მათი მართვა არ წარმოადგენს სტატიკურ და შეზღუდულ მოდელს. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ჩნდება მოთხოვნა ახალ საზიარო რესურსებზე და მათზე ხელმისაწვდომობაზე. შედეგად, ტრადიციული ბუნებრივი რესურსების, მაგ. თევზისა თუ ტყის რესურსების მართვის მაგალითების გვერდზე ვხედავთ, ახალი ტიპის საზიარო რესურსების მართვის შემთხვევებს, მაგ. საინფორმაციო წყაროების ღიაობისა თუ ღია პროგრამული უზრუნველყოფის შემთხვევაში. ჩნდება მოქალაქეთა გაერთიანებები, რომლებიც ებრძვიან დაბინძურებას თუ ტერიტორიების დატბორვას, საკუთარი ქალაქებისა თუ

<sup>6</sup> [https://wtf.tw/ref/ostrom\\_1990.pdf](https://wtf.tw/ref/ostrom_1990.pdf)

<sup>7</sup> [https://wtf.tw/ref/ostrom\\_1990.pdf](https://wtf.tw/ref/ostrom_1990.pdf)

სოფლების გარშემო, ინარჩუნებენ საჯარო სივრცეებს - თეატრებს, პარკებს, მიუხედავად არსებული „რაციონალური“, „სამართლებრივი“ თუ „მეცნიერული“ დასაბუთებისა.

საზიარო რესურსების მმართველ თუ მხარდამჭერ ჯგუფები, როგორც ტრადიციული ასევე ახალი ტიპის, არასდროს არ არიან ჩაკეტილნი, მათ ნაყოფიერი თანამშრომლობა აქვთ უფრო ფართო გეოგრაფიულ ტერიტორიებზე არსებულ სხვა ჯგუფებთან. საზიარო რესურსებზე უფლებები არ წარმოიშობა იზოლაციაში და . თემებისა და გარე სამყაროს ურთიერთობის და/ან ბრძოლის შედეგია. უმეტესად, ეს უფლებები წარმოიშობა როგორც რეაქცია თემის საზიარო რესურსების მიტაცების თუ არსებულ უსაფრთხოების გაქრობის მუქარის შედეგად.

ამასთან, როდესაც თემი იწყებს ბრძოლას საკუთარი საზიარო რესურსების შენარჩუნებისთვის, ეს ხდება თემის საკუთარი ღირებულებებისა და პრიორიტეტების უფრო ფართოდ განსაზღვრის ნაწილი. და ის იწყებს არა კონკრეტული ალტერნატივების მოძიებას, არამედ ცდილობს გაარკვიოს რა მუშაობს, როგორ მოახდინოს ახლისა და ძველის სინთეზი, რათა უზრუნველყოს ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილება. შესაბამისად, თემები როცა საზიარო რესურსების მართვაზე იხილავენ არ გულისხმობენ ტექნიკურ საკითხებს, მაგალითად რამდენი და რა ჯიშის ხე უნდა დაიდგას, არამედ ამოსავალი წერტილია კითხვა, ვნახოთ რა მუშაობდა წარსულში და როგორ შევცვალოთ დღევანდელი დღე, როგორ შევქმნათ დემოკრატიული სათემო ინსტიტუტები რათა თემმა დაიბრუნოს თავისი ცხოვრების განკარგვის უფლება<sup>8</sup>.

მაგალითისთვის, შეგვიძლია გავიხსენოთ წყლისთვის თუ მიწის მიტაცების „წარმატებული“ მცდელობები სახელმწიფოს მხრიდან ჰესების მშენებლობის შედეგად საქართველოში, რომელსაც, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში სულ უფრო და უფრო მეტი წინააღმდეგობა ხვდება, თემები ლაპარაკობენ ფუნდამენტურ ალტერნატივებზე - ეროვნული პარკების ჩამოყალიბებაზე, ეკონომიკის განვითარების სხვა მოდელებზე, სხვადასხვა თემები ცვლიან ერთმანეთში ცოდნასა და გამოცდილებას.

მსგავსი ხასიათი აქვს სულ უფრო მზარდ პროტესტს ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ (თბილისი, რუსთავი) და შესაძლებელია ასეთად შემდგარიყო საყდრისთვის ბრძოლა. ეს ბრძოლები არის სინამდვილეში ბრძოლა საზიარო რესურსებისთვის, რომელსაც საფრთხეს უქმნის კომოდიფიკაცია, სახელმწიფოს იურიდიული დიქტატი და/ან დაბინძურება.

## საზიარო რესურსების გადააზრება

ადგილობრივი საზიარო რესურსების გააზრებისას, მნიშვნელოვანია ვაცნობიერებდეთ, რომ ადგილობრივი რესურსები არ წარმოადგენს მხოლოდ გლობალური კაპიტალიზმის ლოგიკის განსახიერებას ადგილზე - პროდუქტის შექმნისთვის, არამედ რომ სწორედ ეს ადგილობრივი საზიარო რესურსი აძლევს აქ მცხოვრებ თემებს მდგრადობისა და დამოუკიდებლობის გარანტიას.

სულ უფრო და უფრო მეტი აქტორი თანხმდება, რომ „სპეციფიური რესურსები და ტერიტორიები მმართველობის სპეციფიურ რეჟიმს მოითხოვს, რაც არ არის აუცილებელი იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ან კერძო. არსებობს საზოგადოებრივი მიწების რესურსების მენეჯმენტის სისტემა რომელიც დაკავშირებულია წყალთან, საკვებთან, ნათესებთან, ტყეებთან, სამოვრებთან და ბევრ სხვა რესურსებთან და ინფორმაციულ სისტემებთან მთელს მსოფლიოში, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება როგორც ადგილობრივი,

<sup>8</sup> <http://www.thecornerhouse.org.uk/resource/reclaiming-commons>

ისე რეგიონალური მასშტაბით. მრავალი მათგანი სასტიკ ზეწოლას განიცდის პრივატიზაციისა და ბაზრის აქტორების მხრიდან. რეალური უფლებამოსილება მოითხოვს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ახალ კულტურას, რომელთა ღირებულებები სცდება კონსუმერიზმს. სამაგიეროდ ისინი ფოკუსირებულნი არიან გაზიარებაზე, სათემო მიწების დაბრუნების მოთხოვნაზე ან მათ დაცვაზე, და მრავალ ქვეყანაში თავიდან სწავლობენ „სათემო მიწების ფლობის“ ფორმებს.<sup>9</sup>

იგივე შეიძლება ითქვას ურბანულ საზიარო რესურსებზე, რომლებიც მოითხოვენ სრულიად ახალ სამართლებრივ ჩარჩოს, გამომდინარე საკუთრების და მართვის სირთულეებიდან. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მთელი რიგი ნაბიჯები იდგმება მსგავსი ჩარჩოს ჩამოსაყალიბებლად. განსაკუთრებით, აღსანიშნავია ამ მხრივ სამხრეთ ევროპის ქვეყნები, მათ შორის იტალია, სადაც უკვე მთელმა რიგმა ქალაქებმა აღიარეს ქალაქზე კოლექტიური საკუთრების უფლება და ცდილობენ მართონ ქალაქები პირდაპირ სამოქალაქო მართვის გზით, ურბანული საზიარო რესურსების სტატუსის მინიჭებით მთელ რიგი ადგილების, შენობების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის, საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობითა და მართვის ახალი ფორმების ჩამოყალიბებით, მათ შორის საზოგადოებრივ-სამოქალაქო პარტნიორობის, სადაც ორივე მხარე დებულობს კონკრეტულ პასუხისმგებლობას<sup>10</sup>.

მსოფლიოს გარშემო, ბრძოლას საზიარო რესურსებისთვის (იქნება ეს რეფერენდუმი წყლის პრივატიზაციის აკრძალვის შესახებ იტალიაში<sup>11</sup>, თუ ტრადიციულ საკუთრებისთვის ბრძოლა სვანეთში) არ აერთიანებს მომავლის უნილატერალური ერთიანი ხედვა, და არც მცდელობა ერთიანი რეცეპტის ჩამოყალიბებისთვის. ეს ბრძოლები, როგორც წესი არის ადგილობრივი მოსახლეობის მცდელობა დაიბრუნოს პოლიტიკური პროცესი და მთარგოს ის მოსახლეობის საჭიროებებს. გამაერთიანებელი ხაზია კი არის ის, რომ საზიარო რესურსებზე გადაწყვეტილების მიღება შეეძლოთ მათ ვისთვისაც ეს რესურსები სასიცოცხლო აუცილებლობაა.

ამასთან, უნდა გვახსოვდეს რომ ადგილობრივი საზიარო რესურსების გარდა (სათემო, ურბანული და სხვა), არსებობს ე.წ. გლობალური საზიარო რესურსები (კლიმატი, თევზები, ოკეანე, ინფორმაციული ტექნოლოგიები,) და შესაბამისად, ერთი და იგივე თემს, რომელიც იბრძვის საკუთარი საზიარო რესურსებისთვის, შესაძლებელია წვლილი შეჰქონდეს გლობალური რესურსის მდგრადობაში.

გლობალური საზიარო რესურსების მართვისთვის, ოსტრომმა შემოიტანა ცნება ადაპტაციური მმართველობა, როცა სისტემის წესები ვითარდება და ადაპტირდება დროთა განმავლობაში. ოსტრომის აზრით „წესები რომლებიც იქმნება ერთი სოციო-ეკოლოგიური პირობებისთვის შესაძლებელი გამოუდგარი გახდეს, თუ სოციალური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარება გაზრდის კაცობრიობის ზიანს ეკოსისტემებზე და ბიოსფეროზე კი. ასევე ადამიანებს შეუძლიათ მოიგონონ სისტემის გვერდის ავლის გზები. შესაბამისად, საზიარო რესურსების წარმატებული მოდელის წესები უნდა ვითარდებოდეს“. ამასთან, ის უნდა ეფუძნებოდეს გამჭირვალობას და მონაწილეობას, ხელს უწყობდეს რეალურ ინოვაციებს და ნოვატორებს, შეცვალოს წესები და არ დაუშვას კორპორაციული კოგნიტური ინტერესების მიერ მოსახლეობის ინტერესების დაჯაბნა.

ალბათ, გლობალური კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო თუ ეროვნული პროცესები, ყველაზე კარგი მაგალითია იმისა, რომ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია გლობალურ დონეზე საზიარო რესურსების მართვის მოდელი, რომელიც გაითვალისწინებდა მოსახლეობის ინტერესებს.

<sup>9</sup> [https://ge.boell.org/sites/default/files/resource\\_politics\\_for\\_fair\\_future\\_geo.pdf](https://ge.boell.org/sites/default/files/resource_politics_for_fair_future_geo.pdf)

<sup>10</sup> <https://urbact.eu/urban-commons-civic-estate>

<sup>11</sup> 2011 წლის რეფერენდუმის შედეგად, იტალიაში, 95% მხარმა დაუჭირა, რომ შეცვლილიყო კანონი რომელიც აძლევდა კერძო სექტორს უფლებას ემართა და შეესყიდა წყლის მიწოდების სერვისები.



 **HEINRICH BÖLL STIFTUNG**  
**თბილისი**  
სამხრეთ კავკასია

ნარკვევი გამოცემულია მწვანე ალტერნატივას ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისთან თანამშრომლობით/ მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „მწვანე აკადემია“.

ნარკვევის შინაარსზე გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მწვანე ალტერნატივას და შესაძლებელია არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.



თბილისი, 0179,  
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.  
ტელ.: 222 38 74  
GREENALT@GREENALT.ORG  
WWW.GREENALT.ORG

ავტორი: მანანა ქოჩლაძე

© მწვანე ალტერნატივა, 2019